

## აზერბაიჯანელმა მსაზღვრებმა ქართველები ბართუხანში არ შეუშვეს

თამარ კაციტაძე

„ბერთუხნის მონასტერი — დავით გარეჯის კომპლექსში შემავალი ერთ-ერთი გამოქვაბული მონასტერია. იგი დაარსებულია XII საუკუნეში. აქ აღსანიშნავია ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია და სატრაპეზო, რომელთა კედლებიც შემკულია XIII საუკუნის დასაწყისის მხატვრობით. აქვეა ეპიზოდი დავით გარეჯელის ცხოვრებიდან — „ლუკიანე წველის ირმებს“. ეს მოხატულობა გარეჯის სკოლის მხატვრობის განვითარების მწვერვალია.“



გაზრძაძე  
მ-2 გვარდია

## ევროინტეგრაცია - მთავარი ფასეულობა

მაგდა ლაქიაშვილი

ბათუმმა უმასპინძლა მე-9 საერთაშორისო კონფერენციას - „საქართველოს ევროპული გზა - ევროკავშირი და მისი ევროპელი მეზობლები“. ამ ფორმატში შეხვედრა მომავალ წელსაც ბათუმში გაიმართება. ამასთან, კონფერენციის მონაწილეებმა იმედი გამოთქვეს, რომ საქართველო, ამ პერიოდის განმავლობაში, ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს. შეხვედრა გუშინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა. კონფერენციაში კი აღმოსავლეთ ევროპის რეგიონისა და ევროკავშირის წევ-

რი ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირები, ევროკავშირის ინსტიტუტების ხელმძღვანელები, მათ შორის, გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისიის სექციის ხელმძღვანელი ვილფრედ მარტენსი მონაწილეობდნენ.

დემოკრატიული რეფორმები და კანონის უზენაესობა, გლობალური უსაფრთხოების გამოწვევები, ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობების შესაძლებლობები და ხალხთა შორის კონტაქტები - ფორუმის მონაწილეებმა ამ ოთხ თემატურ სესიაზე იმუშავეს. ოფიციალური თბილისის შეფასებით, ეს არის

მოსამზადებელი შეხვედრა აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის 2013 წლის სამიტისთვის, რომელიც ვილნიუსში გაიმართება. ქართულ მხარეს იმედი აქვს, რომ ვილნიუსის სამიტზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველაზე წარმატებულ ქვეყნებს ევროკავშირში ინტეგრაციისთვის გადადგმული ნაბიჯები დაუფასდებათ. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო ავტომატურად ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდება, თუმცა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თორნიკე გორდაძის თქმით, რეფორმების განხორციელების მოტივაცია ნამდვილად იქნება.

გაზრძაძე  
მ-3 გვარდია

## „მაესტროს“ ანტიანები დაყადაღებულია

თბილისის საქალაქო სასამართლომ მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ შემოტანილი ანტიენების დაყადაღების ნებართვა გასცა.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, „მაესტროს“ მოსახლეობისთვის ანტიენების დარეგულაციის უსასყიდლოდ აპირებდა.

„ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ პოლიტიკურ ორგანიზაცია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული კომპანია

როგორც ეს უკვე განხორციელდა ბოლო დროის განმავლობაში „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ მიერ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სასამართლოსათვის ყადაღის გამოყენების შესახებ შუამდგომლობით მიმართვის თაობაზე,“ - ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

გაზრძაძე  
მ-2 გვარდია

## სირიის ოპოზიციის მოსკოვში და რუსეთის თავდაცვის სიტყვაქუნის უწყება

ხათუნა ბაზივაი

სირიის ოპოზიციის შეფასებები მოსკოვიდან და დასავლეთის შეშფოთება სირიის მიმართულებით დაძრული რუსული გემების თაობაზე. სირიაში ნამდვილი რევოლუციაა, რომლის შედარებაც შეიძლება რუსეთის მოვლენებთან, სადაც კომუნიზმის შეცვლა დემოკრატიით გადაწყვიტეს თავის დროზე, ასეთი განცხადება გააკეთა მოსკოვში ვიზიტით მყოფმა სირიის ნაციონალური საბჭოს ხელმძღვანელმა აბდელ ბასეტ სეიდმა.

იგი ბაშარ ალ-ასადის რეჟიმისადმი რუსეთის დამოკიდებულებასაც შეეხო და აღნიშნა, რომ მისთვის ბოლომდე გაუგებარი რჩება ოფიციალური მოსკოვის პოზიცია.



სირიისკენ დაძრული „ვიკარ კონიკოვი“

„ჩვენ ვფიქრობდით, რომ რუსეთი სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად რეჟიმის შეცვლის საკითხს დათანხმდა, მაგრამ შენევის კონფერენციის დასკვნითი განცხადების ტექსტი მაინც ბუნდოვანია. ახლა კი გვეს-

მის განცხადებები, რომ აღნიშნული ტექსტი პირდაპირ არ მიუთითებს რეჟიმის შეცვლის აუცილებლობაზე“, - განაცხადა მოსკოვში აბდელ ბასეტ სეიდმა.

გაზრძაძე  
მ-4 გვარდია

1 აშშ დოლარი . . . . .	1.6489\$
1 ევრო . . . . .	2.0311\$
1 ინგლისური გირვანცა . . . . .	2.5827\$
1 თურქული ლირა . . . . .	0.9077\$
100 რუსული რუბლი . . . . .	5.0004\$

  

თბილისი . . . . .	31°C - 21°C
ქუთაისი . . . . .	31°C - 18°C
თელავი . . . . .	31°C - 18°C
ზუგდიდი . . . . .	30°C - 18°C
ბათუმი . . . . .	27°C - 18°C

  

ნავთობი . . . . .	2.76	+0.04	+1.43%
გაზი . . . . .	2.80	+0.07	+2.35%
ოქრო . . . . .	1,577.40	-2.40	-0.15%
ხორბალი . . . . .	815.25	-6.00	-0.74%

## „მეტალურგი“ - მომდევნო ეტაპზე, „ტორკედო“ - ბრძოლის სამზადისში

მიხეილ აბაიშვილი

დღეს გაიმართება უფასო ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩები, რომელშიც ორი ქართული კლუ-

ბი მიიღებს მონაწილეობას. ყაზახეთის ქალაქ აქტიუბინსკში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „აქტობე“ და ქუთაისის „ტორკედო“.

გაზრძაძე  
მ-7 გვარდია



## ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი



- 4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
- ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!
- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოგს	5.90	4.90
ჰარი პოტერი და საიღუმლო ოთახი	9.00	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ქაღალაძი	6.90	3.00
ქართველები ამერიკაში	17.90	11.90
კავკასიის გამოკვლევითი ატლასი	15.90	11.00

„24 საათის“ ელექტრონული ვერსია იხილეთ [www.24saati.ge](http://www.24saati.ge) ჩვენი პარტნიორები:

ISSN 1987 9121  
9 771987 19121001





ყირგიზეთი რუსეთის სამხედრო ბაზებს გადასახადს გაუზრდის

2014 წლიდან ყირგიზეთი საკუთარ ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზისათვის გადასახადის გაზრდას გეგმავს. აღნიშნულის შესახებ განცხადება ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-მაიორმა ტაალიაბეკ ომურალიევმა გააკეთა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრობლემები მეზობელ ტაჯიკეთთანაა აქვს - ივნისის ბოლოს გენერალ-პოლოვნიკმა ვლადიმერ ჩირკინმა განაცხადა, რომ ტაჯიკეთთან იმ შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც ამ ქვეყანაში არსებული სამხედრო ბაზის 49 წლის განმავლობაში განთავსებას გაულისწობს, შესაძლოა, ჩაიშალოს.

ევგიპტის სასამართლომ პრეზიდენტის ბრძანება გააუქმა

ევგიპტის საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა გასულ კვირას პრეზიდენტ მუჰამედ მურსის მიერ გაცემული ბრძანება პარლამენტის მოწვევის შესახებ.

სანამ სასამართლოს გადაწყვეტილება ცნობილი გახდებოდა, ევგიპტის პარლამენტი გუშინ დილით შეიკრიბა. პარლამენტის ხელმძღვანელ საად კატატის თქმით, ისინი არ არღვევენ საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებას, უბრალოდ ცდილობენ, "ამ გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმები მოძებნონ."

თაპირის მოედანზე კი, როგორც დაგეგმილი იყო, ის ევგიპტელები შეიკრიბნენ, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. დემონსტრანტები სამხედრო საბჭოს წინააღმდეგ ლოზუნგებს სკანდირებდნენ და სასამართლოს გადაწყვეტილებას "უკანონოს" უწოდებდნენ.

გუშინ ევგიპტის სამხედრო საბჭომ განაცხადა, რომ ქვეყნის პარლამენტის დათხოვნის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შესრულდეს. საბჭოს განცხადებაში საუბარია, რომ ყველა სახელმწიფო ინსტიტუტმა კანონი და კონსტიტუცია უნდა დაცვათ.

ბინ ლადენტან დაახლოებული პირი მავრიტანიის ციხიდან გაათავისუფლეს

ამერიკელი მალაღმისნების ინფორმაციით, ტერორისტულ დაჯგუფება "ალ კაიდას" მრჩეველი, რომელსაც ჯგუფის ლიდერთან ოსამა ბინ ლადენტან და აიამან აზ-ზავაჰირისთან ახლო კავშირები ჰქონდა, მავრიტანიის ციხიდან გაათავისუფლეს.

იტალიის მედია ბერლუსკონის კვლავ გაპრემიერებაზე ალაპარაკდა

პარტია "თავისუფლების ძრის" ლიდერი სილვიო ბერლუსკონი, რომელიც პრემიერობას 2011 წლის ნოემბერში დაემშვიდობა, 2013 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კვლავ ქვეყნის პრემიერ-მინისტრობაზე საუბრობს.

ამ გამოკვლევების თანახმად, ბერლუსკონის პარტია 2013 წლის არჩევნებში მისი მონაწილეობის გარეშე ხმების 10 პროცენტსაც ვერ მიიღებს.

როგორც გაზეთი წერს, ბერლუსკონი დარჩენილი თვეების განმავლობაში დიდ პოლიტიკაში დაბრუნებისათვის მოემზადება, ასევე აპირებს ახალი ეკონომიკური პროგრამის დაწერას.

მოამზად თამთა კახაძემ

სირიის ოპოზიციის მოსკოვში და რუსეთის თავდაცვის სიტყვაძევენი უწყება

პირველი გვირგვინი

როგორც ცნობილია, უცნობების კონფერენციის უმთავრესი მიზნებია სირიისთვის გარდამავალი მთავრობის შექმნის აუცილებლობაა, მაგრამ თუ სირიელი ოპოზიციონერები დროებით მთავრობაში მმართველი რეჟიმის ადგილს ვერ ხედავენ, ოფიციალური მოსკოვი დაიწყებს მოითხოვს პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ჩართვას მასში.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოსკოვური მოლაპარაკებები სირიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის ვადის ამოწურვამდე 10 დღით ადრე გაიმართა.

განიზაციის უშიშროების საბჭოს უკვე თხოვნითაა მიმართა დამკვირვებლების მანდატი სამი თვით გაუგრძელონ.

დასავლეთი კი გვარინად შეაშფოთა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების გაგზავნა სირიის სანაპიროებისკენ. ექსპერტები, როგორც რუსეთში, ასევე დასავლეთში დარწმუნებულნი არიან, რომ მისიას კონკრეტული მიზნები აქვს, პირველ რიგში, ესაა სირიის საკიხზე თავისი პოზიციის რეალური არგუმენტებით გამყარება და მეორე სირიიდან რუსეთის მოქალაქეების ევაკუაცია.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოსკოვური მოლაპარაკებები სირიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის ვადის ამოწურვამდე 10 დღით ადრე გაიმართა.

მიმართულებით წასვლის თაობაზე კვირას მიიღო, მისი დანიშნულება იქნება საბრძოლო ვალდებულების ამოცანის შესრულება. ერთ-ერთი მიზანი პორტ ტარტუსში შესვლა და მარაგის შევსებაა, ხომალდის გემბანზე საზღვაო ქვეითების ქვედანაყოფი იმყოფება, - განაცხადა ასევე რუსულ მედიასთან, კერძოდ, "ინტერფაქსთან" საუბარში თავდაცვის უწყების წყარომ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამერიკული მხრიდან პირველი რეაქცია რუსული ხომალდების გადაადგილების თაობაზე საკმაოდ დიპლომატიური და თავი შეკავებული აღმოჩნდა.

კონფლიქტს... ჩვენ რუსულ მხარესთან ამ საკითხზე ურთიერთობას არ ვწყვეტთ", - ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

არანაკლებ ფრთხილი და მოზომილი იყო რუსეთის თავდაცვის უწყების მინი კომენტარი, სადაც ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვების ფლოტის ხომალდების ჯგუფის მიზანი ხმელთაშუა და შავ ზღვაში შავი ზღვის ფლოტის ხომალდებთან ერთად სასწავლო-საბრძოლო ამოცანების დახვეწაა.

დასავლელი დიპლომატები, როგორც ამას ბრიტანული "ტელეგრაფი" წერს, დარწმუნებულნი არიან, რომ ხომალდების გაგზავნა რუსეთის მხრიდან ასაღების მხარდაჭერის დემონსტრირების კიდევ ერთი მცდელობაა.

ტორის დაპუტატებამ ლორდთა პალატის რეფორმა შეანელა

ბრიტანეთში ჩავარდა მთავრობის მორიგი მცდელობა, პარლამენტში გაეტანათ კანონპროექტი ლორდთა პალატის რეფორმის თაობაზე.



მთავრობამ წარმოადგინა ბევრად უფრო კომპაქტური ზედა პალატის შექმნის გეგმა, რომელშიც ადგილების 80 პროცენტი არჩევითი იქნება.

ბის დახმარებით). თუმცა პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი იძულებული გახდა, უარი ეთქვა კანონპროექტის იმ ნაწილზე, რომელიც ითვალისწინებდა ვადის შემოღებას კანონპროექტის საბოლოოდ მისაღებად.

ლიბერალ-დემოკრატები კი იმუქობიან, რომ თუ კონსერვატორები უარს იტყვიან ლორდთა პალატის რეფორმაზე, ისინი საპასუხოდ კონსერვატორებს საარჩევნო უბნების საზღვრების შეცვლაში ხელს შეუშლიან.

ბულთა თავშესაფრის" როლს ასრულებს თემთა პალატის ყოფილი დეპუტატებისა და პრივილეგირებული კლასების წარმომადგენელთათვის.

მეოცე საუკუნეში ლორდთა პალატაში რამდენიმე რეფორმა განხორციელდა. 1911 წელს პერებს თემთა პალატის გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლება წაართვეს.



# ქართული თავლის პრობლემები საექსპორტო ბაზრებზე

ინოვაციური

ქართული თავლი ევროპის ბაზრებზე ვერ გადის. თავლის მწარმოებლები პროდუქტის ექსპორტის შეფერხების მიზეზად სერტიფიცირების პრობლემებს ასახელებენ. "სერტიფიკატის აღება ძალიან რთულია, იმისთვის, რომ თავლი ექსპორტზე გაიტანო, სპეციალური, თავლის გადამამუშავებელი ბაზის შექმნაა საჭირო," - აცხადებს კომპანია "ფეფეს" დირექტორი გიორგი ტატიშვილი. თავლის რეალიზაციასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა "მეთაფლიასაც." კომპანიის დირექტორის როლანდ ზირაქიშვილის განცხადებით, მათ პროდუქციის წარმოების ზრდა შეუძლიათ, მაგრამ უცხოეთის ბაზარზე რეალიზაციას ვერ ახერხებენ.

"ქართული თავლის უცხოურ ბაზარზე გატანას ვცდილობთ, თუმცა უშედეგოდ," - ამბობს როლანდ ზირაქიშვილი.

ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებული თავლის წილი იზრდება. 2010 წელს ქვეყანაში 20,1 ათასი დოლარის ღირებულების თავლი შემოვიდა, ხოლო 2011 წელს ამ მაჩვენებელმა 70 ათას დოლარს მიაღწია.

იმპორტირებული თავლის წილის ზრდას "მეთაფლიას" დირექტორი როლანდ ზირაქიშვილი ასე ხსნის: "იმპორტირებული თავლი გაცილებით იაფი ღირს, უცხოური კომპანიები უცხო ბაზრებზე თავის დამკვიდრებას სწორედ დაბალი ფასით ახერხებენ."

სტატისტიკის თანახმად, საქართველოდან 2011 წელს თავლის ექსპორტი 60,8 ათას დოლარამდე გაიზარდა, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 13,9 ათასი დოლარით მეტია. თავლის ექსპორტი ოფიციალურად ესტონეთში განხორციელდა. ზირაქიშვილის თქმით, უცხოეთში ქართული თავლი უფრო ძვირი ღირს,



ვიდრე საქართველოში. მაგალითად, ერთი კილოგრამი წაბლის თავლის ფასი ქართულ ბაზარზე 14,5 ლარია, ხოლო სტამბულში - 35 დოლარი.

საქართველოდან გატანილი თავლის დიდ ნაწილს თურქეთი მოიხმარს, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი, მესამეზე კი - საბერძნეთი. ქართული თავლი ექსპორტზე, ძირითადად, არალეგალურად გადის. "არაოფიციალურად საქართველოდან საკმაოდ დიდი რაოდენობის თავლის ექსპორტი ხორციელდება. ყველაზე მეტი მოცულობის ქართულ თავლს თურქეთი მოიხმარს. იქ ჩვენი თავლის შეტანა აკრძალულია, მაგრამ ეს მაინც ხერხდება. თურქეთში თავლის შესატანად ზუსტად ისეთივე სერტიფიკატი უნდა გვქონდეს, როგორც ევროკავშირის ბაზრების შემთხვევაშია საჭირო. აზერბაიჯანსა და საბერძნეთში ქართული თავლი, ძირითადად, სამგზავრო ავტომობილებით, მცირე ზო-

მის ჭურჭლით გააქვთ. ამ ქვეყნებში არალეგალური ექსპორტირების ქართულ თავლს ადგილობრივ ბაზარზე არსებულ ფასზე ორჯერ უფრო ძვირად ყიდიან," - ამბობს საქართველოს პროფესიონალ მეფუტკრეთა ასოციაციის პრეზიდენტი თეიმურაზ ლოლობერიძე.

ბაზარზე ახალი შემოთავაზებით ინდემნარმე თამაზ ლლონტი გამოდის, რომელსაც საქართველოში ფიჭიანი თავლის წარმოებაზე ექსკლუზიური უფლება აქვს. "უცხოვრობ გურიამი, მაღალმთიან სოფელ აკეთში. 200 ოჯახი ფუტკრის სკა მაქვს. "ელკანას" წვერი ვარ. ამ ეტაპზე ევროპულ საერთაშორისო ბიოსერტიფიცირებაზე ვდგავარ."

ინდემნარმე საკუთარ ნაწარმს - ფიჭიან თავლს "ელკანას" საშუალებით მაღალი კლასის სასტუმროების ქსელში ყიდის. მისი პროდუქტი მაღაზიებშიც იყიდება. როგორც თამაზ ლლონტი განმარტავს, მისი

პროდუქცია დეფიციტურია და სეზონური, რაც იმის საშუალებას არ აძლევს, რომ დიდი მოცულობა აწარმოოს. "ფიჭიან თავლს გაზაფხულზე ვანარმოებ და ადგილობრივ ბაზარზე ვყიდი. საერთაშორისო ბაზარზე, საქართველოდან ევროპაში თავლის პროდუქტები არ გადის. თავლის რეალიზაციის პრობლემა არ მაქვს, თუმცა საწარმოო პროცესს ძალიან დაძაბული მუშაობა სჭირდება. პროდუქტის ფასი ადგილობრივ ბაზარზე 10 ლარია, ევროპულ ბაზარზე კი ის 14 ევრო ღირს."

"საქართველოში წარმოებული მეფუტკრეობის პროდუქტები ევროპის ბაზარზე გასასვლელად მზად არ არის, რადგან ამ პროდუქტის წარმოების სერტიფიცირება არ მომხდარა. ლაბორატორიული მოთხოვნები, რომლებსაც ევროპული ბაზარი ადგენს, საქართველოს ბაზარზე არ არის. ევროპულ სტან-

დარტზე რომ იმუშაო, უნდა იყოს: თავად საფუტკრეში შესაბამისი წესრიგი; საწარმოო ჯაჭვი მწარმოებლიდან ლაბორატორიამდე, და ბოლოს, მომხმარებელამდე სათანადოდ უნდა იყოს დაცული," - აცხადებენ ბიომეურნეობა "ელკანაში."

საქართველოს აქვს პოტენციალი, მოთხოვნის შემთხვევაში 3 ათას ტონაზე მეტი თავლი აწარმოოს, თუმცა ამისთვის საექსპორტო ბაზრებია საჭირო. ქართველი სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ევროკავშირის ბაზარზე შესვლა საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოში მეფუტკრეობის განვითარებისა და წარმოების გაზრდისთვის, თუმცა ევროკავშირის და სხვა ბაზრებზე მოსახვედრად პროდუქცია რამდენიმე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ: საფუტკრეში შესაბამისი წესრიგი უნდა იყოს, სათანადოდ უნდა იყოს დაცული საწარმოო ჯაჭვი მწარმოებლიდან ლაბორატორიამდე და, შემდეგ, მომხმარებელამდე; ქვეყანაში უნდა არსებობდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეფუტკრეობის ლაბორატორია, რომელიც აკრედიტაციას ევროპაში გაივლის და შესაბამის სერტიფიკატებს გასცემს. "მოქმედი ლაბორატორიის სერტიფიკატები მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის რეალიზებისთვის არის საკმარისი. მათი სერტიფიკატი ევროპაში არ გამოდგება," - ამბობს თემურ ლოლობერიძე.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს თავლის ბიზნესთან დაკავშირებით სპეციალური პროგრამა არ აქვს. სამინისტროში აცხადებენ, რომ თავლის ექსპორტს, ლაბორატორიის გარდა, კუპაჟირების და ნადგარი და სათანადო ჭურჭელი სჭირდება. მეფუტკრეობის განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის ბიუჯეტში სათანადო დაფინანსება არ არის.

# სტუდენტური სესხები ახალი პირობებით

სოფო ჩიხლაძე

ადგილობრივ საბანკო სექტორში სტუდენტურ სესხებზე მოთხოვნა იზრდება. პარალელურად კი ბანკები ამ პროდუქტით დაინტერესებულ მომხმარებლებს ახალ პირობებს სთავაზობენ.

"ბანკმა რესპუბლიკამ" სიახლე საზოგადოებას რამდენიმე დღის წინ წარუდგინა. ყველა სტუდენტს, რომლებსაც სურვილი აქვთ, საზღვარგარეთ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღონ, ბანკი სტუდენტურ სესხს მისცემს. "ჩვენ ახალგაზრდებს საშუალებას ვაძლევთ, ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი მიიღონ ისეთ უნივერსიტეტებში, როგორებიცაა: Columbia University, New York University, Stanford University, Harvard University, London Business School, London School of Economics და სხვა. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ მათთვის სასურველი სამაგისტრო პროგრამა Financial Times-ის და The Times-ის საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგების პირველ 50-ეულში მოხვედრილი უნივერსიტეტებიდან და სტუდენტური სესხის მეშვეობით დაიფინანსონ სწავლის საფასური, მგზავრობა, ცხოვრება, კვება, ნივნების საფასური და სწავლასთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ხარჯი," - აცხადებენ "ბანკ რესპუბლიკაში".

მსესხებელი სტუდენტი "ბანკ



რესპუბლიკისგან" აღებული სესხის გადახდას სწავლის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ დაიწყებს. სესხის მაქსიმალური მოცულობა 60, 000 აშშ დოლარია ან ეკვივალენტი ევროთი; მაქსიმალური ვადა - 10 წელი. რაც შეეხე-

ბა საპროცენტო განაკვეთს, ის 16%-დან იწყება.

"საქართველოს ბანკში" აცხადებენ, რომ 2011 წლიდან ამ დრომდე ჯამში 2,1 მილიონი ლარის სტუდენტური სესხი გასცეს და მოთხოვნის

კიდევ უფრო გააქტიურებას სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად ელოდებიან. მათივე ინფორმაციით, ამჟამად ბანკი სტუდენტურ სესხს 200 ლარიანი დადასტურებული შემოსავლის შემთხვევაში გასცემს. პროდუქ-

ტზე საპროცენტო განაკვეთი 15 პროცენტო იწყება. სესხის ვადა კი 5 წელიწადია.

"თიბისი ბანკი" სტუდენტური სესხების ბაზარზე განახლებული პირობებით აგვისტოდან გამოჩნდება. ბანკი აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე ახალ შეთავაზებაზე მუშაობენ და დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

"თიბისი ბანკის" სტუდენტური სესხის აღება საქართველოში საბაკალავრო პროგრამის გასავლელად ყველა ახალგაზრდას შეუძლია, მიუხედავად იმისა, მიიღონ მან სახელმწიფო დაფინანსება თუ არა. სამაგისტრო პროგრამის დასაფინანსებლად კი "თიბისი ბანკის" სტუდენტური სესხებით სარგებლობის საშუალება მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტებს აქვთ.

"თიბისი ბანკის" სტუდენტურ სესხს, სურვილის შემთხვევაში, ის ახალგაზრდები იღებენ, რომლებიც უკვე არიან 20 წლის; ასევე სტუდენტის მშობელი, ნათესავი ან სხვა ნებისმიერ მესამე პირი.

სესხის დაფარვის ვადა 3-დან 12 თვემდეა. "თიბისი ბანკი" სტუდენტურ სესხს 200-ლარიანი შემოსავლის საფუძველზე მსესხებლის და სტუდენტის პირადობის მოწმობის წარდგენიდან 10 წუთში გასცემს. ბანკის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ყოველწლიურად გაცემული სტუდენტური სესხების 20-30 პროცენტი სწორედ "თიბისი ბანკზე" მოდის.

საკუთარი ინფორმაცია



# მარადონა უმუშევარ მწვრთნელთა ლიგის პეპარტოდა



ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა არაბეთის გაერთიანებული საამიროების კლუბ "ალ ვასლის" მწვრთნელის თანამდებობიდან დაითხოვეს. არაბული კლუბის პრესამსახურის ცნობით, 51 წლის არგენტინელის დათხოვნის მიზეზი სუსტი შედეგებია. ამავე მიზეზით დაითხოვეს ტექნიკური სამსახურიც. მარადონამ დუბაის კლუბთან ორწლიანი ხელშეკრულება შარშან, მაისში გააფორმა. საუკეთესო შედეგი, რასაც კლუბმა მარა-

დონას ხელში მიიღწია, ეროვნულ ჩემპიონატში დაკავებული მერვე ადგილია. მიმდინარე წლის ივნისის შუა რიცხვებში არაბული კლუბის დირექტორთა საბჭოს სრული შემადგენლობაც იძულებული გახდა გადამდგარიყო - "ალ ვასლის" შარშანდელი ნარუმატებელი სეზონის გამო. ახლად არჩეული საბჭოს მოსვლის შემდეგ კი გაჩნდა მოსაზრება, რომ უახლოეს ხანებში მათ ბედს გაიზიარებდა მარადონაც. მართალია, დირექტორთა საბჭოს

ახალი ხელმძღვანელი მოჰამედ აჰმად ბინ ფაჰადი ირწმუნებოდა, რომ მარადონა კლუბში ხელშეკრულების გათვალისწინებით მომავალი წლის მაისამდე დარჩებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ არგენტინელი დღეს უმუშევარ მწვრთნელთა ლეგიონს შეუერთდა. ...2010 წელს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო მარადონამ არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა.

## გამოცემლობა ინტელექტი

# ხანაწერები

### 20 წიგნი

**გამოუქვეყნებელი დღიურები**

**ცნობილი ადამიანების უცნობი ავტობიოგრაფიული უტრიხები**

**ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ**

**დაგვიკავშირდით:**  
 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5  
 ტელ: (+995 32) 2 25 05 22  
 (+995 32) 2 47 55 54  
 intelekti@caucasus.net  
 info@intelekti.ge  
 www.intelekti.ge  
 f www.intelekti.ge